



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №17/53

2017 წლის 28 ივლისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების - ავტობუსის შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის რეგისტრაციის მოწმობების შესაბამისად 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება - ავტობუსი: ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 634, ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 635, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB823BX, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB881BX და ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB882BX წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტის“ დირექტორმა 2017 წლის 21 ივლისის #12 წერილით მიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთხსენებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების - ავტობუსის თხოვნის ფორმით შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტისათვის“ სარგებლობაში გადაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების - ავტობუსის: ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 634, ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 635, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB823BX, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB881BX და ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB882BX-ის შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვნის ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით,

მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების - ავტობუსის: ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 634, ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 635, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB823BX, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB881BX და ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB882BX-ის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 100-პროცენტური წილობრივი მონაწილეობით მოქმედი შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტისათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება - ავტობუსი: ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 634, ISUZU BOGDAN - სარეგისტრაციო ნომრით OHO 635, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB823BX, ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB881BX და ZONDA BUS - სარეგისტრაციო ნომრით XB882BX თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტს“ (ს/კ 215131569).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახურის ბალანსზე არსებული თვითმმართველი ქალაქ ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ლიზინგის წესით შეძენილი ექვსი ავტობუსის შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტისათვის“ გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2008 წლის 16 ივლისის #11/55 განკარგულება.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 28 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია